მეორე ვერსია, 09/09/2019

ნაირობის განცხადება

მიძღვნილი

მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD)

სამოქმედო პროგრამის მიღებიდან 25-ე წლისთავისადმი:

Accelerating the Promise

წინასიტყვაობა

ოცდახუთი წლის წინ, 1994 წელს, ეგვიპტეში, კერძოდ კაიროში გამართულ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (ICPD), 179-მა ქვეყანამ მიიღო სეტაპო სამოქმედო პროგრამა. აღნიშნულმა პროგრამამ ძირეულად შეცვალა ის მიდგომა, რომელიც მანამდე არსებობდა მოსახლეობას, სიღარიბის დაძლევასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირისადმი, მდგრადი განვითარების პრიორიტეტად აღიარა რა ცალკეული ადამიანის უფლებები, საჭიროებები და მისწრაფებები. 2015 წელს, საერთაშორისო საზოგადოებამ, მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის მიღებითა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დამტკიცებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა ვალდებულება, რომელიც „ადამიანების, დედამიწისა და კეთილდღეობის“ მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად ქცევასა და „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ მიდგომის განხორციელებას გულისხმობს. 2019 წლის 1-ლ აპრილს, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, გაეროს მოსახლეობისა და განვითარების კომისიის (CPD) 52-ე სხდომაზე, მიიღეს დეკლარაცია, რომელიც ადასტურებდა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის მნიშვნელობას, მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის კონტექსტში, მოსახლეობისა და განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების წარმატებით დანერგვისა და განხორციელების

საქმეში, და რომლის საშუალებითაც გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა დადეს პირობა, რომ გადადგამდნენ კონკრეტულ ნაბიჯებს და განახორციელებდნენ საჭირო ქმედებებს აღნიშნული პროგრამის "სრული, ეფექტური და დაჩქარებული განხორციელების" უზრუნველსაყოფად.[1]

მდგრადი განვითარების მომავალი უშუალოდ უკავშირდება ახალგაზრდების მისწრაფებების დაკმაყოფილებას. მსოფლიო მასშტაბით 1.8 მილიარდი ახალგაზრდისათვის ასპარეზის დათმობა და მათი შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში მათი წვლილის შეტანის მიზნით, იქნება მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამისა და მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის გახორციელებისა და პირობის შესრულების მყარი გარანტი. მდგრადი, სამართლიანი და ინკლუზიური განვითარების მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ გათვალისწინებული იქნება მთელ მსოფლიოში, გოგონებისა და ქალების, ბიჭებისა და მამაკაცების საჭიროებებია და მისწრაფებები. 25 წლის წინ მთავრობებმა, მხარი დაუჭირეს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამას და შემდგომ ეს მხარდაჭერა დაადასტურეს მთავრობათაშორის გამართულ ფორუმებისა თუ შეხვედრების ფარგლებში წარმოებული განხილვების დროს; შესაბამისად მათ უნდა განაგრძონ ინვესტიცია სამოქმედო პროგრამის გახორციელების მიზნით და მხარი დაუჭირონ ამ მიმართულებით გაღებულ ძალისხმევას, მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის კონტექსტში.

გარდა ამისა, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული და ამ ეტაპზე შეუსრულებელი ღონისძიებების სრულყოფილად გატარება, მსოფლიო მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფა, სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელშეწყობა, რომლებიც აღნიშნული პროგრამის მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელი და გადამწყვეტია. რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ გარემო, რომელშიც ამ ორგანიზაციებს, მოძრაობებს, ინსტიტუტებსა და ადამიანებს, მათ შორის მათ, ვინც სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) დაცვას ემსახურება, უსაფრთხოდ მუშაობის საშუალება ექნებათ.

<u>ნაირობის სამიტამდე გასახორციელებელი ღონისძიებები</u>

[1] პოლიტიკური დეკლარაცია, მიღებული გაეროს მოსახლეობისა და განვითარების კომისიის (CPD) 52-ე სხდომაზე (1-4 აპრილი, 2019 წელი).

ჩვენ, სახელმწიფოთა მეთაურები, მინისტრები, პარლამენტარები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა, ქალთა ორგანიზაციათა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ეთნიკურ უმცირესობათა თუ მკვიდრი ხალხების წარმომადგენლები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მქონე პირები, სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე პირები, კერძო სექტორის, სამეცნიერო წრეების, სხვადასხვა პროფილის მქონე სააგენტოებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და რეგიონული პოლიტიკური ორგანოების წარმომადგენლები ვიკრიბებით კენიაში, ნაირობის სამიტზე, 2019 წლის 12-14 ნოემბერს, რათა ვისაუბროთ ჩვენს ამბიციურ ვალდებულებებსა და იმ კონკრეტულ და ინოვაციურ ღონისძიებებზე, რომლებიც დააჩქარებს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის გახორციელებას, უზრუნველყოფს ამ ეტაპზე შეუსრულებელი ღონისძიებების სრულყოფილად გატარებას, არავის დატოვებს პროცესის მიღმა, და ხელს შეუწყობს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის პირობის სისრულეში მოყვანას - რაც გულისხმობს ყველა ადამიანის უფლებების დაცვასა და არჩევანის ქონის უზრუნველყოფას.

ბოლო 25 წლის განმავლობაში მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის პირობა ჯერ ისევ შეუსრულებელი რჩება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მილიონობით ადამიანისათვის. ჯერ-ჯერობით არ არის უზრუნველყოფილი მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციასა და შესაბამის მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ჯერ-ჯერობით არ გატარებულა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებები[2]. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თუ ვერ შევძლებთ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული და ამ ეტაპზე შეუსრულებელი ღონისძიებების სრულყოფილად გატარებას და მყარი და მტკიცებულებებზე

[2] აღნიშნული ღონისძიებები განმარტებულია მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის (19994 წლის სექტემბერი) შემდეგ მუხლებში: 7.2, 7.3, 7.6 და 8.25 და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი გახორციელებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებების დოკუმენტის (1999 წლის ივლისი) 63-ე მუხლში.

დაფუძნებული ინვესტიციების საშუალებით არ უზრუნველვყოფთ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) დაცვას, ასევე, თუ არ ვიზრუნებთ ქალთა და გოგონათა შესაძლებლობების გაფართოვებასა და გენდერული თანასწორობის დაცვაზე, 2030 წლისთვის, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა არათუ რთული, არამედ შეუძლებელიც კი იქნება.

ჩვენ ასევე ვაღიარებთ, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში, მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა მრავალი მიმართულებით და თავი იჩინა ბევრმა საკითხმა, რომლებიც გავლენას ახდენს მოსახლეობის და განვითარების სფეროზე - საკითხებმა, რომელთა მოგვარების გზები და საშუალებები არ იყო განხილული ან არასათანადოდ იყო განხილული კაიროში, თუმცა რომელთა მოგვარების აუცილებლობაც გამოიკვეთა შემდგომ გამართულ რეგიონალურ კონფერენციებზე, და რომელთა შორისაა კლიმატის ცვლილება, მზარდი უთანასწორობა არა მარტო ქვეყნებს შიგნით, არამედ ასევე ქვეყნებს შორის, ახალგაზრდების სიჭარბე და მზარდი დემოგრაფიული მრავალფეროვნება.

მუშაობა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული პირობის შესრულების მიმართულებით, რომელიც გულისხმობს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობას, ქალებისა და გოგონების შესაძლებლობებით აღჭურვასა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ასევე, არც ერთი ადამიანის დატოვებას პროცესის მიღმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა, რომლებიც სასიკეთო ცვლილებების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, და რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგნენ თაობას, რომელმაც საკუთარ თავზე უნდა აიღოს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამისა და მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის გახორციელება, საჭიროებს ახალ, ინოვაციურ და სტრატეგიულ პარტნიორობასა და თანამშრომლობას, მათ შორის ახალგაზრდებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ადგილობრივ თემებს, კერძო სექტორს შორის და ასევე ქვეყნებს შორის, „სამხრეთ-სამხრეთისა“ და „სამკუთხა“ თანამშრომლობის ფარგლებში.

ამრიგად, ვაღიარებთ რა ჩვენს განსხვავებულ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს, ჩვენი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი განსაკუთრებით უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ქმედებებს, რომლებიც დააჩქარებს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული პირობის შესრულებას, უზრუნველყოფს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი განხორცილებისათვის საჭირო

ძირითადი ღონისძიებების გატარებას, პერიოდული რეგიონალური კონფერენციების შედეგების მიხედვით მოქმედებასა და მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ:

1. თავდაუზოგავად ვიმუშავებთ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებებისა და მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის სრულყოფილი, ეფექტური და დაჩქარებული განხორციელებისა და დაფინანსების მიმართულებით.

კონკრეტულად, იმისათვის, რათა:

- **უზრუნველვყოთ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის (UHC) ნაწილს წარმოადგენს, ვიღებთ კონკრეტული ვალდებულებებს, რომლებიც ემსახურება შემდეგ მიზნებს:**

2. ოჯახის დაგეგმვის თაობაზე ინფორმაციითა და შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის <u>არც ერთი შემთხვევა</u> და ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო თანამედროვე კონტრაცეპტივების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[3]
3. თავიდან აცილებადი დედათა სიკვდილიანობისა[4] და დედათა ავადობის, როგორიცაა სამეანო ფისტულა, <u>არც ერთი შემთხვევა</u>, მათ შორის ისეთი ყოვლისმომცველი მიდგომის საშუალებით, როგორიცაა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი პაკეტის[5] გამოყენება, რომელიც მოიცავს

[3] „ოჯახის დაგეგმვის თაობაზე ინფორმაციითა და შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის არც ერთი შემთხვევა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს იმისა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, რომელიც შესულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში (SDG), კერძოდ, ამოცანა 3.7 და ამოცანა 5.6.

[4] “დედათა თავიდან აცილებადი სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა” წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს იმისა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, რომელიც შესულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში (SDG), კერძოდ, ამოცანა 3.7 და ამოცანა 5.6.

[5] როგორც ეს განმარტებულია მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის (19994 წლის სექტემბერი) შემდეგ მუხლებში: 7.2, 7.3, და 7.6 და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი გახორციელებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებების დოკუმენტის (1999 წლის ივლისი) 53-ე მუხლში. აღნიშნული ასევე ემყარება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) დაცვის მიზნით წარმოებულ ინტერვენციათა განმარტებას, რომელიც მოცემულია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თაობაზე სპეციალური კომისიის (Guttmacher/Lancet Commission)

არაუსაფრთხო აბორტების პრევენციისა და თავიდან აცილების ღონისძიებების, აბორტის შემდგომი მოვლის[6] ჩართვას საყოველთაო ჯანდაცვის ეროვნულ სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პროგრამებში და ყველა ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და თავისუფლების დაცვასა და უზრუნველყოფას და, ამ უფლებით სარგებლობის მიზნით, მათთვის ძირითად მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფა.

4. მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის მათი ასაკის შესაბამის ინფორმაციაზე, განათლებასა და მოზარდებისთვის ყოვლისმომცველ, ხარისხიან და დროულ მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფა, რათა მათ შეეძლოთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება, საკუთარი სქესობრივი და რეპროდუქციული ცხოვრების შესახებ, სათანადოდ დაიცვან თავი არასასურველი ორსულობისაგან, გენდერული ნიშნით ძალადობისაგან, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებითა და აივ/შიდსით ინფიცირებისაგან, და უსაფრთხოდ და უპრობლემოდ მიაღწიონ ზრდასრულ ასაკს.

- წინ აღვუდგეთ გენდერული ნიშნით ძალადობასა და ისეთ საზიანო პრაქტიკას, როგორიც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეული და იძულებითი ქორწინება და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, საკუთარ თავზე ვიღებთ კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლებიც ემსახურება შემდეგ მიზანს:

5. გენდერული ნიშნით ძალადობის[7] <u>არც ერთი შემთხვევა</u>, მათ შორის ბავშვთა ქორწინების, ადრეული და იძულებითი ქორწინების[8] <u>არც ერთი შემთხვევა</u>, ასევე, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების[9] <u>არც ერთი შემთხვევა</u>, იმისათვის, რომ ყველა ადამიანს მივცეთ საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალება, ვინაიდან სწორეთ ისინი გვევლინებიან სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების განმახორციელებლებად საკუთარ საზოგადოებაში.

- ს

ანგარიშში (2018 წლის მაისი).

[6] როგორც ეს განმარტებულია მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის (19994 წლის სექტემბერი) მუხლში: 8.25 და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის შემდგომი გახორციელებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებების დოკუმენტის (1999 წლის ივლისი) 63-ე მუხლში.

[7] გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), ამოცანა 5.2.

[8] გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), ამოცანა 5.3.

[9] გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), ამოცანა 5.3.

6. ეროვნული ბიუჯეტის პროცესების გამოყენება, შიდა დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების ახალი და ინოვაციური ინსტრუმენტებისა და სტრუქტურების კვლევა, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის სრულყოფილი, ეფექტური და დაჩქარებული განხორციელების უზრუნველსაყოფად.
7. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამების შიდა დაფინანსების გაზრდის მიზნით, ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, მთავრობის დახმარების იმ პროგრამის (ODA) წილის ზრდა, რომლებიც კონკრეტულად ემსახურება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და უფლებების (SRHR) საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

- უზრუნველვყოთ ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და მდგრადი განვითარება, დემოგრაფიული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საკუთარ თავზე ვიღებთ შემდეგი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას:

8. დემოგრაფიული დივიდენდით სარგებლობა, მოზარდთა და ახალგაზრდების განათლებაში, დასაქმების შესაძლებლობებსა და ჯანმრთელობის დაცვაში ინვესტიციების გახორციელებით, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
9. მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბება, სადაც ყველა ადამიანს, მათ შორის ხანდაზმულსა და ახალგაზრდას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ეთნიკურ უმცირესობათა თუ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ჩამოაყალიბონ საზოგადოებები, რომლის ფარგლებშიც ისინი თავს დაფასებულად იგრძნობენ, შეძლებენ თავად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი და საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ საზოგადოებათა კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.
10. ხარისხიანი, დროული და ზედმიწევნით დახარისხებული მონაცემების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ ინოვაციებში ინვესტიციების გახორციელება და მონაცემთა სისტემების გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების მისაღწევად.

იმ პრინციპისადმი ერთგულება, რომლის თანახმადაც, ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ გაიმართება არც ერთი მსჯელობა და არ იქნება მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება, მათი აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობის გარეშე (“არაფერი ჩვენს შესახებ, ჩვენი მონაწილეობის გარეშე”).

- უზრუნველვყოთ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა, ჰუმანიტარული თვალსაზრისით დაუცველ გარემოში, საკუთარ თავზე ვიღებთ შემდეგი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას:

11. დაზარალებული მოსახლეობის ძირითადი ჰუმანიტარული საჭიროებების უზრუნველყოფა, მათ შორის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) დაცვის უზრუნველყოფა, განიხილება როგორც ჰუმანიტარულ და ეკოლოგიურ კრიზისებზე რეაგირების, ასევე დაუცველ და კრიზისის შემდგომ კონტექსტში გასატარებელ ღონისძიებათა უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც საჭიროებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მათ შორის უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობას იქ, სადაც აბორტი დაშვებულია, ამგვარ პირობებში დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

<u>შემდგომი ღონისძიებები</u>

აღნიშნული ვალდებულებები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგთან. ამგვარად, ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ ქვეყნებს, აწარმოონ ანგარიშები, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამისა და მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის თანახმად აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ნაირობის სამიტის შემდგომ პერიოდში. აღნიშნული ანგარიშები და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია შემდგომ წარედგინება გაეროს მოსახლეობისა და განვითარების კომისიას (CPD), განიხილება პერიოდულ რეგიონალურ შეხვედრებსა და მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (HLPF). ვალდებულებები, რომლებიც შინაარსით გაერთიანებული ერების სპეციალიზებული უწყებების კომპეტენციაში შედის, განსახილველად გადაეცემა შესაბამის მმართველ ორგანოს. ჩვენ, ასევე, რეკომენდაციას ვუწევთ ქვეყნებს, წარადგინონ ანგარიშები, ქვეყნის კონკრეტული ვალდებულებებისა და ქვეყანაში გატარებული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (HLPF). ჩვენი რეკომენდაცია ასევე გულისხმობს იმას, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) პერიოდულად წარმოადგინოს ანგარიში გლობალურ დონეზე შესაბამისი ვალდებულებების შესრულების შესახებ.